აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 34

30 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თამაზ შარმანაშვილი და გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილ დღის წესრიგის დამტკიცებამდე მასში ცვლილების შეტანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დღის წესრიგს უნდა დამატებოდა ერთი საკითხი - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება უსკო-ს მიერ 2008 წლის 28 ივლისს №2 დადგენილებით შექმნილ კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურისათვის ვადის გაგრძელების საკითხს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. დადგენილება
№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებაში დამატებების შეტანის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის ხელახალი არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

6. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიისათვის დამხმარე პერსონალის როდენობის განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

7. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

8. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უსკო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გაუთვალისწინებელ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით სხვა საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელია კანონმდებლობით განუსაზღვრელი ვადების უსკო-ს მიერ დადგენილებით განსაზღვრა. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნულ უსკო-ს წევრების უფლებამოსილება გრძელდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე. 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების დროს კი აღნიშნული საკითხი საარჩევნო კანომდებლობით არ არის განსაზღვრული, ამიტომაც აუცილებელია უსკო-ს მიერ მიღებული იქნას დადგენილება, რითაც განისაზღვრება კანონით გაუთვალისწინებელი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხი. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილება გრძელდება 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგად №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატის უფლებამოსილების ცნობამდე და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილება გრძელდება 2008 წლის 14 დეკემბერის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგად, №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესს დადგენილებით განსაზღვრავს უსკო. ასევე აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის

№83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქს არჩევნების პერიოდში ესაჭიროება ფულადი სახსრები – საკანცელარიო, სატრანსპორტო და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით, რისთვისაც აუცილებელია უსკოს მიერ დამტკიცებული იქნას №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის, №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი თანხები ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 34-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად, გახსნილ ანგარიშზე ბანკში.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებაში დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებაში დამატებების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 01 აგვისტოს მიღებული იქნა №4 განკარგულება უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" კანონის თანახმად, უსკოს კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა 13 წევრით, ასევე არჩევნების მომზადებისა და მისი ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უსკოს აპარატი გაიზარდა შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებით, რომელთა უფლებამოსილებაც გრძელდება 2008 წლის 3 დეკემბრამდე. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, 2008 წლის 14 დეკემბრების ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით უსკოს აპარატის შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეების უფლებამოსილება გაგრძელდება ერთი თვით (2008 წლის 31 დეკემბრამდე). ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4

პუნქტების, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნების საარჩევნო პერიოდში (უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ცნობამდე) უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და კომისიის წევრების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №5 დანართისა.“

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნების საარჩევნო პერიოდში (2008 წლის 2 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) დამხმარე მოსამსახურეების, ტექნიკური პერსონალისა და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №6 დანართისა.“

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. ამ განკარგულების მე-2^1 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებში №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობამდე.“

4. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს № 4 განკარგულებას მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. ამ განკარგულების მე-3^1 პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 2 დეკემბრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის ხელახალი არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის ხელახალი არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის უქმე დღეები გამოცხადებულია სამუშაო დღეებად, ამიტომ კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა, აპარატის თანამშრომელთა და უსკოს აპარატში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი თანამშრომლებისათვის 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროის მანძილზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის ანაზღაურებული უნდა იქნას თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 2 დეკემბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ანაზღაურებული უნდა იქნას გაწეული არასამუშაო დროის მანძილზე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრებოის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის მომდევნო სხდომისათვის განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს 2008 წლის 2 დეკემბრიდან №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობამდე, №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში, გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. განკარგულების შესრულებისას გათვალისწინებული იქნეს ცალკეული კომისიის წევრებისთვის სამსახურებრივი ურთიერთობების წარმოშობისა და შეჩერების შემთხვევები და მის შესაბამისად განხორციელდეს მათზე არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გაანგარიშება.

3. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის დამხმარე პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიას ესაჭიროება ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი. გარდა ამისა №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დასაქირავებელ პირთა ოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის 2008 წლის 2 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დასაქირავებელ პირთა რაოდენობა განისაზღვროს 8 დამხმარე პერსონალის ოდენობით.

2. №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში ამ განკარგულებით განსაზღვრულ რაოდენობის ფარგლებში დაიქირაოს არანაკლებ ერთი ბუღალტერი და ერთი იურისტი.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

7. განკარგულება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა ხელფასის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში 2008 წლის 20 ნოემბრიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივნს და კომისიის წევრებს გაწეული სამუშაოსათვის უნდა მიეცეთ სარჩევნო კანონმდებლობის თანახმად თანამდებობრივი სარგო (ხელფასი), რაც განსაზღვრული უნდა იქნეს უსკოს მიერ. ასევე განიხილა წარმოდგენილ განკარგულების პროექტში არსებული ყველა საკითხი.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების პერიოდში 2008 წლის 20 ნოემბრიდან საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის და კომისიის სხვა წევრთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

თავმჯდომარე	395 ლარი;
თავმჯდომარის მოადგილე	365 ლარი;
კომისიის მდივანი	335 ლარი;
კომისიის წევრი	285 ლარი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 28 ივლისს უსკოს მიერ მიღებული იქნა №2 დადგენილება, რითაც შეიქმნა კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური და მისი უფლებამოსილება განისაზღვრა უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან სამი თვით (2008 წლის 3 დეკემბერი). ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით აუცილებელია კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირება იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობა, მოახდინოს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და საჭირო შემთხვევაში მათი მოდიფიცირებაც.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 28 ივლისის № 2 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება განისაზღვროს 2008 წლის 31 დეკემბრამდე“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია